# ზეიმობს საბჭოთა ბელორუსია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

29 დეკემბერი, კვირა 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 303 (14299)


ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ

რევოლუციურ მოძრაობაში, დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში, მსოფლიოში პირველი სოციალისტური მრავალეროვანი სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნასა და განმტკიცებაში ბელორუსიის სსრ მშრომელთა დიდი დამსახურებისათვის, ჩვენი სამშობლოს მტრებთან ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის, კომუნისტურ მშენებლობაში წარმატებებისათვის ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი, 1968 წ. 27 დეკემბერი.

## ბელორუსიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს

# საბრძოლო გამარჯვებებისა და შრომითი მიღწევების გზით

### ბელორუსიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა

**დიდი** და სასიხარულო ღღესასწაული მოვიდა ბელორუსიის მიწა-წყალზე. რესპუბლიკის მშრომელები ჩვენი დიდი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად აღნიშნავენ ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და ბელორუსიის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს.

ამ დღეებში ბელორუსი ხალხი, ბელორუსიის კომპარტია ალაშებენ თავიანთი რევოლუციური მონაპოვრების, საბრძოლო გამარჯვებისა და შრომითი გმირობის შედეგებს, ახალი ძალით ცდაყოფენ თავიანთ ერთგულებას დიდი ლენინის საქმისადმი, კომუნიზმის საქმისადმი.

28 დეკემბერს მინსკში გაიმართა ბელორუსიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქ მინსკის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელებისა და საბჭოთა არმიის მეომრების წარმომადგენლები. იგი მიეძღვნა ბელორუსიის სსრ და მისი კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს.

სხდომის სახსნელი დარბაზში შეიკრიბნენ ისინი, ვინც ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ვინც თავისი საბრძოლო საქმეებით სახელი გაუთქვა სამშობლოს, შრომითი გმირობა მოახდინა. ბევრი მათგანის მკერდზე საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავები, ორდენები და მედლები ციმციმებს. განსაკუთრებული პატივისცემით ტყურებ იმ ადამიანებს, ვისაც მკერდს უმშვენებს მედლები „სამამულო ომის პარტიზანს". ხალხის შურისმგებელი ფაშისტ ოკუპანტთა რისხვა იყვნენ. სხდომის თვითეული მონაწილის — მუშის, კოლმეურნის, მეცნიერის, კულტურის მოღვაწის, მეომრის ბიოგრაფია მთელი ბელორუსი ხალხის ბიოგრაფიაა.

...დილის 10 საათია. დამსწრეთა ტაშის გრიალში პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. ე. შელესტი, ვ. ვ. გრიშინი, ა. მ. მაშეროვი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი, ვ. ვ შჩერბიცკი,** ბელორუსიის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, მინსკისა და მინსკის ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები, ზეიმზე ჩამოსული მოკავშირე რესპუბლიკების და გმირი ქალაქების დელეგაციათა მეთაურები, მხედართმთავრები.

საზეიმო სხდომა გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. მ. მაშეროვმა.

მან თქვა, რომ დღევანდელი ღღესასწაული განუყრელად არის დაკავშირებული დიდ ოქტომბრის 51 წელმა განვლო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. 51 წელია იბრძვება და იფურჩქნება ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო. 51 წელია ცოცხლობენ და იმარჯვებენ დიდი ოქტომბრის, ჩვენი ლენინური პარტიის იდეები. ეს იყო მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებათა და დიდ მიღწევათა წლები. ამის მკაფიო დადასტურებაა ბელორუსიის სსრ ნახევარი საუკუნის გზა, მისი თვალსაჩინო მონაპოვრები და მიღწევები. ეს იყო ბელორუსიის კომპარტიისა, მთელი ხალხის გმირული ბრძოლისა და შთაგონებული შემოქმედებითი შრომის გზა.

ჩვენი ხალხი, განაგრძო პ. მ. მაშეროვმა, არასოდეს არ დაიღლება თავისი საუკეთესო, ერთგული და მამაცი შვილების მხედრულ და შრომითს გმირობას. ბევრი მათგანი ვეღარ დაბრუნდა რევოლუციური ბარიკადებიდან, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ბრძოლის ველებიდან. ისინი დაიღუპნენ მამაცთა სიკვდილით სოციალიზმისათვის, ჩვენი საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნას.

ჩვენი დღესასწაული, თქვა ბელორუსიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, მიმდინარეობს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის საყოველთაო-სახალხო მზადების ღირსშესანიშნავ დღეებში. დიდი ლენინის, გენიალური ბელადისა და მოაზროვნის სახელი უსაზღვროდ ძვირფასია ჩვენი ხალხისათვის. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს, ლენინურ პარტიას უნდა უმადლოდეს ბელორუსი ხალხი თავის წარმატებებს, თავის მიღწევებს, თავის გამარჯვებებს. დიდი ლენინის სახით გულში. ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და მისი საბრძოლო შტაბის — ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით გულდაჯერებით მივდივართ და ყველაზე ვეგლით კომუნიზმისათვის ბრძოლის გზით.

თავისი ზეიმის დღეს ბელორუსი ხალხი გულითადი მადლობის სიტყვებით მიმართავს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, ყველა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკის მშრომელებს მუდმივი ყურადღებისათვის, ყოველნაირი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის. დიდი მადლობა შენ მშობლიურო პარტიავ, თქვა პ. მ. მაშეროვმა დიდი მადლობა თქვენ, ჩვენო საბჭოთა ძებო და ძმებო, ყველაფრისათვის, რაც ჩვენი ხალხისათვის გაგიკეთებიათ.

ჩვენთვის სასიამოვნო და სასიხარულოა, რომ ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ბელორუსიის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის დღესასწაულზე ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.

დამსწრეთა ტაშის გრიალში პ. მ. მაშეროვი გულითადად მიესალმა ლ. ი. ბრეჟნევს, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების და გმირი ქალაქების — მოსკოვის, ლენინგრადის, ვოლგოგრადის, კიევის, სევასტოპოლის, ოდესის დელეგაციებს ბელორუსიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს სახელით, საზეიმო სხდომის ყველა მონაწილის სახელით, რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით.

საზეიმო სხდომა გახსნილად ცხადდება.

ეღერს სსრ კავშირისა და ბელორუსიის სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

საზეიმო სხდომის მონაწილენი სამეფო პრეზიდიუმში დიდი ოვაციებით იხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს სამაბსოვრო დროშა, რომლითაც ბელორუსია დაჯილდოვდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით, აგრეთვე ქალაქ მინსკის დროშა.

ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ **ე. ი. სკურკომ** (მაქსიმ ტანკმა) სიტყვა მოხსენებისათვის — „ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ბელორუსიის კომუნისტური პარტიის 50 წელი" მისცა პ. მ. მაშეროვს.

**თავის** დაბადებას, თავის წარმატებებსა და თვალსაჩინო მიღწევებს, თქვა მომხსენებელმა, საბჭოთა ბელორუსია უნდა უმადლოდეს დიდ ოქტომბერს, რომელმაც ხორცი შეასხა მშრომელთა საუკუნოვან ოცნებებსა და მისწრაფებებს.

ჩვენი ზეიმი გამოხატავს ბელორუსი ხალხის ღრმა მადლობას ლენინის მიერ შექმნილი და გამოზრდილი კომუნისტთა დიდი პარტიისადმი. ეს ცოცხლად ადასტურებს ბელორუსიის მშრომელთა უსაზღვრო ერთგულებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი, რომელსაც საბჭოთა ხალხი გულდაჯერებით მიჰყავს ოქტომბრის გზით მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლისაკენ — კომუნიზმისაკენ!

პ. მ. მაშეროვმა დაწვრილებით გააშუქა რესპუბლიკის ისტორიის ეტაპები, ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ახორციელებდნენ თავიანთი პარტიის ხელმძღვანელობით ბელორუსი მშრომელები ინდუსტრიალიზაციას, ლენინურ კოოპერაციულ გეგმას, თუ რა უდიდესი როლი შეასრულა ხალხის სულიერ პროგრესში კულტურულმა რევოლუციამ.

საბჭოთა ადამიანების შესანიშნავი თვისებანი განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა დიდი სამამულო ომის წლებში, იმაში, რაც პარტიისა და ხალხის ნებითა და შრომით გაკეთდა, საშუალება მოგვცა გავგვეძლო და გაგვემარჯვა იმპერიალიზმის დამკვრელ ძალებთან — გერმანიის ფაშიზმთან და მის მოკავშირეებთან სოციალიზმის ყველაზე დიდ სამხედრო შეტაკებაში. ჰიტლერულ ფაშიზმთან სოციალიზმის ამ უდიდეს ორთაბრძოლაში ბელორუსმა ხალხმა ცხადყო ურყევი ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი, სოციალისტური წყობილებისადმი, ჯასიამთნო და ნებისყოფის სიმტკიცე. შეიარაღებული ძალების მარტო რეგულარულ ნაწილებში შევიდა ბელორუსიის მილიონზე მეტი შვილი. მტრის ზურგში, დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე, გაიშალა მძლავრი პარტიზანული მოძრაობა. ხალხის შურისმგებელთა მრავალრიცხოვან რაზმებში, ანტიფაშისტურ პატრიოტულ იატაკქვეშეთში დამპყრობთა წინააღმდეგ იბრძოდა 440 ათასზე მეტი კაცი და ქალი, დაახლოებით 400 ათასი კაცი შეადგენდა ორგანიზებულ პარტიზანულ რეზერვს. ფაქტიურად მტრის წინააღმდეგ იბრძოდა მთელი ბელორუსი ხალხი.

სოციალიზმის ბრძოლისა და გამარჯვებების სახელოვან მატიანეში გმირულ ფურცლებად შევიდა სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენისა და შემდგომი განვითარების წლები.

პ. მ. მაშეროვმა დაასახელა ციფრები, რომლებიც მკვეთრატყვილურად მოწმობენ ბელორუსი ხალხის შრომითი გმირობის სიდიადეს. საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე რესპუბლიკის ეროვნული შემოსავალი გაათკეცდა, სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 81-ჯერ, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა აყენებს 75 ათასზე მეტ ტრაქტორს. დაახლოებით 50 ათას სახვირთო ავტომობილს, 27 ათასზე მეტ სხვადასხვა კომბაინსა და დიდი წარმადობის ბევრ სხვა ტექნიკას. ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, რესპუბლიკის ყველა სასოფლო დასახ-

(დასასრული მე-2 გვ.)

მინსკი. 28 დეკემბერი. ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ბელორუსიის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. სურათზე: ლ. ი. ბრეჟნევი რესპუბლიკის დროშაზე ამაგრებს ოქტომბრის რევოლუციის ორდენს. (სურათი მიღებულია საქრონიკო ფოტოტელეგრაფით).

# ლენინის იდეების, კომუნიზმის საქმის ერთგულება ყველა ჩვენი გამარჯვების საწინდარია

### ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1968 წლის 28 დეკემბერს

**ძვირფასო ამხანაგებო,** ბელორუსიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებო, ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით გულითადად გილოცავთ თქვენ და თქვენი სახით რესპუბლიკის ყველა მშრომელს დიდ დღესასწაულს — ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ბელორუსიის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს.

ძვირფასო მეგობრებო! ბელორუსია საბჭოთა რესპუბლიკად საზეიმო ვითარებაში გამოცხადდა იანვრის პირველ დღეს. თითქოს თვით ისტორიამ იზრუნა იმისათვის, რომ ამრიგად უფრო მკაფიოდ აღგვენიშნა დიადი მიჯნა, რომლითაც ბელორუსმა ხალხმა დაიწყო თავისი სოციალისტური წელთაღრიცხვა.

ამხ. მაშეროვის მოხსენებაში დამაჯერებლად იყო ნაჩვენები წარმატებანი, რომლებიც ხუთი ათწლეულის მანძილზე მოიპოვა ბელორუსმა ხალხმა. ბელორუსია გადაიქცა აყვავებულ ქვეყნად, რომელსაც აქვს მძლავრი ინდუსტრია, მოწინავე სოფლის მეურნეობა, დიდად განვითარებული მეცნიერება და კულტურა. ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხი ამაყობს მოძმე ბელორუსთა შესანიშნავი მიღწევებით. ყველგან ჩვენს ქვეყანაში პატივს სცემენ და უყვართ ბელორუსი ხალხი, უყვართ ვაჟკაცობისა და შრომისმოყვარეობისათვის, რევოლუციური იდეალების ერთგულებისათვის, კომუნიზმის საქმის ერთგულებისათვის.

თავისთავად ცხადი მოვიდა უდიდესი ცვლილებანი თქვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში. საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე. ეს ცვლილებანი მოპოვებულია ბელორუსი ხალხის თავდადებული ბრძოლით, მოპოვებულია მისი გონებით, ნიჭით, დაძაბული შრომით.

ისტორიაში არაერთხელ ყოფილა, რომ ბელორუსიის მიწა-წყალი სისხლისმღვრელი ბრძოლების ველად გადაქცეულა, რომლებშიც წყდებოდა ჩვენი სამშობლოს ბედი. და ამ მძიმე ჟამს ბელორუსი ხალხი ერთ მხედრულ მწყობრში იყო თაყის ძმებთან, ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად.

ბელორუსია წარსულში იყო სიღატაკისა და გაჭირვების, საცოდავი გლეხური ყანების, გაუვალი ჭაობების მხარე. მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის ნებითა და შრომით საბჭოთა ბელორუსია გახდა მუდმივად მზარდი ეკონომიკის, მოწინავე მეცნიერების, კულტურის რესპუბლიკა და ღირსეული წვლილი შეჰქვს ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში. რესპუბლიკაში შეიქმნა თანამედროვე მძლე ინდუსტრია. მრეწველობის ახალი დარგები, საავტომობილო, სატრაქტორო, რადიოელექტრონული, ზუსტი ხელსაწყოთმშენებლობის, ქიმიური. ნავთობმომპოვებელი და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა. მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობაში, რომელიც სოციალისტური წარმოების დიდად განვითარებული დარგი გახდა. წლითწლობით იზრდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა.

მომძე ბელორუსიის მიღწევები გულწრფელად ახარებს ყველა საბჭოთა ადამიანს. ეს მიღწევები განუხრელად არის დაკავშირებული რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის საქმიანობასთან. მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგული ბელორუსიის კომპარტია განუწყვეტლივ ზრდის მშრომელებს რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით, უნერგავს მათ საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის გრძნობებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ ბელორუს ხალხს მთავრობის მაღალ ჯილდოს — ოქტომბრის რევოლუციის ორდენს და გამოთქვამენ რწმენას, რომ რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, ყველა მშრომელი ბელორუსიის ხალხის მთავრობის მაღალ ნდობას — ოქტომბრის რევოლუციის ორდენს — ღირსეულად იმართლებენ. ისინი ბელორუსიის კომპარტიის ხელმძღვანელობით კვლავაც თავდადებით იშრომებენ კომუნისტური მშენებლობის იმ დიდებული გეგმების განხორციელებისათვის, რომლებიც დასახულია პარტიის პროგრამით და სკკპ XXIII ყრილობის მიერ, ახალი წარმატებებით აღნიშნავენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების ასი წლისთავს.

გაუმარჯოს ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას და კომუნიზმის მშენებელ მის ხალხს!

გაუმარჯოს ბელორუსიის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლ რაზმს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, ლენინურ კომუნისტურ პარტიას — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

**ძვირფასო ამხანაგებო,** ბელორუსიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით გულითადად გილოცავთ თქვენ და თქვენი სახით რესპუბლიკის ყველა მშრომელს დიდ დღესასწაულს — ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ბელორუსიის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს.

ძვირფასო მეგობრებო! ბელორუსია საბჭოთა რესპუბლიკად საზეიმო ვითარებაში გამოცხადდა იანვრის პირველ დღეს. თითქოს თვით ისტორიამ იზრუნა იმისათვის, რომ ამრიგად უფრო მკაფიოდ აღგვენიშნა დიადი მიჯნა, რომლითაც ბელორუსმა ხალხმა დაიწყო თავისი სოციალისტური წელთაღრიცხვა.

ამხ. მაშეროვის მოხსენებაში დამაჯერებლად იყო ნაჩვენები წარმატებანი, რომლებიც ხუთი ათწლეულის მანძილზე მოიპოვა ბელორუსმა ხალხმა. ბელორუსია გადაიქცა აყვავებულ ქვეყნად, რომელსაც აქვს მძლავრი ინდუსტრია, მოწინავე სოფლის მეურნეობა, დიდად განვითარებული მეცნიერება და კულტურა. ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხი ამაყობს მოძმე ბელორუსთა შესანიშნავი მიღწევებით. ყველგან ჩვენს ქვეყანაში პატივს სცემენ და უყვართ ბელორუსი ხალხი, უყვართ ვაჟკაცობისა და შრომისმოყვარეობისათვის, რევოლუციური იდეალების ერთგულებისათვის, კომუნიზმის საქმის ერთგულებისათვის.

თავისთავად ცხადი მოვიდა უდიდესი ცვლილებანი თქვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში. საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე. ეს ცვლილებანი მოპოვებულია ბელორუსი ხალხის თავდადებული ბრძოლით, მოპოვებულია მისი გონებით, ნიჭით, დაძაბული შრომით.

ისტორიაში არაერთხელ ყოფილა, რომ ბელორუსიის მიწა-წყალი სისხლისმღვრელი ბრძოლების ველად გადაქცეულა, რომლებშიც წყდებოდა ჩვენი სამშობლოს ბედი. და ამ მძიმე ჟამს ბელორუსი ხალხი ერთ მხედრულ მწყობრში იყო თაყის ძმებთან, ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად.

ყაცობრიობა არასოდეს არ დაივიწყებს ბელორუსიის შვილების უკვდავ გმირობას საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში. ფაშისტმა დამპყრობლებმა იწვნიეს ხალხის მრისხანებისა და სიძულვილის მთელი ძალა, ხალხისა, რომელიც იცავდა თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, თავის სოციალისტურ მონაპოვრებს.

სამშობლოს ერთგულების სიმბოლოდ დარჩება საუკუნეების მანძილზე ლეგენდარული ბრესტის ციხე-სიმაგრის დამცველთა ვაჟკაცობა, მესაზღვრეთა სიმტკიცე, რომლებიც პირველნი შეხვდნენ მტრის დარტყმებს.

მილიონზე მეტი ბელორუსი პატრიოტი ჩადგა პარტიის მოწოდებით მოქმედი არმიის რიგებში და ბრძოლებით განვლო ომის მთელი მძიმე გზა. ბელორუსებთან ერთად მათ მიწა-წყალს იცავდნენ რუსები და უკრაინელები, ყაზახები და უზბეკები, ქართველები და სომხები — ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, ისევე როგორც ერთად იბრძოდნენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ მოსკოვისა და ლენინგრადის მისადგომებთან, ანადგურებდნენ მტერს სტალინგრადთან და კურსკის რკალზე, ერთად იღებდნენ ბერლინს.

არასოდეს არ დავივიწყებთ სახელგანთქმული ბელორუსი პარტიზანებისა და იატაკქვეშელების უმაგალითო გმირსხვაგან

(გაგრძელება მე-3 გვ.).

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დასასრული

რობას, მათს დიად წვლილს გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა განადგურებაში. 440 ათასზე მეტი პარტიზანი და იატაკქვეშელი მამაცურად იბრძოდა ბელორუსიის მიწა-წყალზე მტრის ზურგში, იცავდა თავის საბჭოთა სამშობლოს. მათი თავდადებული ბრძოლით მკაფიოდ გამოიხატა საბჭოთა ხალხის მაღალი პოლიტიკური და მორალური თვისებანი. ეს ხალხის გულისწყრომის უბრალო სტიქიური აფეთქება კი არა, არამედ მტკიცე, შეუპოვარი, კარგად ორგანიზებული ბრძოლა იყო სოციალისტური ქვეყნის ხალხისა, რომელსაც ხელმძღვანელობდა მებრძოლი ავანგარდი — კომუნისტთა პარტია. დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე ზუსტად მოქმედებდნენ პარტიის არალეგალური საბჭოები, საქალაქო და რაიონული კომიტეტები. შემთხვევითი როდია, რომ მაშინ საბჭოთა ადამიანები ბელორუსიას სიყვარულითა და პატივისცემით პარტიზანთა რესპუბლიკას უწოდებდნენ.

სამარადისო მადლობა და დიდება საბჭოთა ბელორუსიის გმირ მეომრებსა და პარტიზანებს!

ამხანაგებო! არსად არ დაუტოვებია ომს ისეთი საშინელი, გამანადგურებელი კვალი, როგორც ბელორუსიაში. მოსახლეობის მეოთხედი დაკარგა რესპუბლიკამ. ფაშისტმა ბარბაროსებმა დაუნგრიეს ქალაქები, გადაუბუგეს სოფლები.

მაგრამ ბელორუსი ხალხი მარტო როდი იყო, მას მხარში ედგა საბჭოთა ხალხების მთელი ერთსულოვანი ოჯახი. ჯერ ისევ ქვემეხები გრიალებდნენ ბელორუსიის მიწა-წყალზე, რესპუბლიკის განთავისუფლებულ რაიონებში კი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოდიოდნენ სურსათით, საშენი მასალებით, მოწყობილობით დატვირთული ეშელონები. ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ძმურ დახმარებაზე დაყრდნობით ბელორუსიის მშრომელებმა მოახდინეს არანაკლებ დიადი შრომითი საგმირო საქმე, ვიდრე დიდი სამამულო ომის წლების გმირობა იყო. მოკლე ვადაში მათ არა მარტო მოიშუშეს ომით მიყენებული ღრმა ჭრილობები და ნანგრევებიდან აღადგინეს სახალხო მეურნეობა, არამედ მაღლეს კიდევაც რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ახალ აყვავებას.

ძვირფასო მეგობრებო!

დღეს ბელორუსებს ორმაგი დღესასწაული გაქვთ. საბჭოთა რესპუბლიკის 50 წლისთავთან ერთად თქვენ ზეიმობთ ბელორუსიის მშრომელთა ავანგარდის — სახელოვანი კომუნისტური პარტიის ნახევარი საუკუნის იუბილესაც. ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, მხურვალედ მივულოცო ბელორუს კომუნისტებსა და რესპუბლიკის ყველა მშრომელს ეს შესანიშნავი იუბილე!

კომუნისტები სათავეში ედგნენ და უდგანან ბელორუსიის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის ყველა სახელოვან საქმეს. სწორედ ისინი იყვნენ ის ძალა, რომელიც რაზმავდა და მიუძღოდა რესპუბლიკის მშრომელებს შრომითი და საბრძოლო გმირობისათვის, კომუნიზმის იდეალების გასამარჯვებლად თავდადებული ბრძოლისათვის. ყველი განსაცდელის შემდეგ, ასეთი კი ბევრი ხვდა წილად ბელორუს კომუნისტებს, ისინი კიდევ უფრო მტკიცდებოდნენ და იწრთობოდნენ. ბელორუსიის კომპარტია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დიდი და მებრძოლი რაზმია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის საიმედო დასაყრდენია.

კომუნისტები თავიანთი ხალხის ერთგული შვილები, მისი საუკეთესო თვისებების ცოცხალი განსახიერება, მისი საარსებო ინტერესების გამომხატველნი არიან. ისინი არ მოითხოვენ არავითარ პრივილეგიებს, თავიანთ უმაღლეს მოვალეობად მიაჩნიათ იყვნენ მაგალითის მიმცემნი შრომასა და ჩვენი დიადი საერთო საქმისათვის ბრძოლაში.

განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება კომუნისტების წამყვანი როლი ცხოვრების ყველაზე ძნელ, გარდატეხის პერიოდებში, როცა კაცმა უნდა დაძაბოს მთელი თავისი ძალ-ღონე, როცა უაღრესად ზუსტად შეიძლება განსაზღვრო, თუ ვინ რას წარმოადგენს. ამის დამაჯერებელი დადასტურებაა თქვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ისტორიაც, კერძოდ, ბელორუსი კომუნისტების თვალსაჩინო როლი სოციალიზმის აშენების ისტორიულ საქმეში.

დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა არმიის რიგებში და მტრის ზურგში სწორედ კომუნისტები იყვნენ მამაცობისა და გმირობის მაგალითის მიმცემნი საომარ პირობებში, ხელმძღვანელობდნენ ხალხის მრავალრიცხოვან პარტიზანულ რაზმებსა და ანტიფაშისტურ მიწისქვეშა ორგანიზაციებს. ისინი ხელმძღვანელობდნენ ბელორუსიის მშრომელთა ბრძოლას ფაშისტური ბატონობის დამხობისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

ომის შემდეგ წლებში ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ბელორუსის მშრომელთა ნების გამომხატველი, ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, ყველა ძალისხმევას მიმართავდა ომით გამოწვეული ნგრევა-ნაოხრების აღმოსაფხვრელად, ქვეყნის ეკონომიკის აღსადგენად და შემდგომი აღმავლობისათვის. ამ საქმეში ბელორუსის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ეყრდნობოდა ბელორუსის მშრომელთა ურყევ მხარდაჭერას, ეყრდნობოდა ძმური ხალხების, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დახმარებას.

ამხანაგებო! ბელორუსის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მინდა გულითადად მადლობა გადავუხადო ყველა ძმურ კომპარტიას, ყველა საბჭოთა ხალხს, რომელთა ძალისხმევით ბელორუსიის მშრომელებმა ასე მოკლე ვადაში აღადგინეს ომით მიყენებული ნგრევა-ნაოხრები, ასე მოკლე ვადაში მიაღწიეს ეკონომიკის, კულტურის, ხალხის კეთილდღეობის ისეთ მაღალ დონეს, რომელიც ომამდე ჰქონდა რესპუბლიკას.

ამხანაგებო! ბელორუსის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მინდა მადლობა გადავუხადო ყველა ძმურ კომპარტიას, ყველა საბჭოთა ხალხს, რომელთა ძალისხმევით ბელორუსიის მშრომელებმა ასე მოკლე ვადაში აღადგინეს ომით მიყენებული ნგრევა-ნაოხრები, ასე მოკლე ვადაში მიაღწიეს ეკონომიკის, კულტურის, ხალხის კეთილდღეობის ისეთ მაღალ დონეს, რომელიც ომამდე ჰქონდა რესპუბლიკას.

მშენებლობაში საბჭოთა ხალხის ახალ წარმატებათა ყველაზე უტყუარი საწინდარია.

ჩვენი პარტიის საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანია იდეოლოგიური მუშაობა. მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის მძლავრი, უძლეველი იარაღია კომუნიზმისათვის ბრძოლაში. და კომუნისტების მოვალეობაა კარგად ფლობდნენ ამ იარაღს, უნარიანად იყენებდნენ მას.

ახლა, როცა ახლოვდება ვ. ი. ლენინის დაბადების მეასე წლისთავი, ჩვენ ყველანი განსაკუთრებით ნათლად ვგრძნობთ ლენინური იდეების გავლენას მსოფლიო ისტორიაზე, ჩვენი ქვეყნის ბედზე, თვითეული საბჭოთა კომუნისტის, თვითეული საბჭოთა ადამიანის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ლენინის მიხედვით ამოწმებენ საბჭოთა ადამიანები თავიანთ კომუნისტურ მრწამსს, პრინციპულობას, იდეური სიმტკიცის. მშრომელთა საქმისადმი ერთგულებას. ლენინისაგან სწავლობენ ისინი სოციალიზმის მტრებისადმი, მშრომელი ხალხის მტრებისადმი შეურიგებლობას, ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი, წვრილბურჟუაზიული მოშვებულობის ყოველგვარი გამოვლინებისადმი შეურიგებლობას.

ჩვენი პარტია ისწრაფვის ქვეყნის ყველა მშრომელი აღზარდოს მაღალი იდეურობისა და კომუნიზმის ერთგულების სულისკვეთებით, ხელი შეუწყოს ყველა საბჭოთა ადამიანის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პროპაგანდისტებისა და მასწავლებლების მეცადინეობას, ლექტორებისა და პუბლიცისტების მუშაობას, ჩვენი პერიოდული პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საქმიანობას. მაგრამ პროპაგანდისტული საქმიანობა როდი ამოწურავს პარტიის იდეოლოგიური მუშაობის შინაარსს.

ლენინს ბევრჯერ ხაზგასმით აღუნიშნავს, რომ მარქსიზმი დოგმა კი არა, მოქმედების სახელმძღვანელოა. მეტად საჭიროა, რომ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების ძირითადი დებულებების საფუძველზე ვერკვეოდეთ ახალ ფაქტებსა და მოვლენებში, შეგვეძლოს მათი პრინციპული, კლასობრივი შეფასება, ახალი ისტორიული ვითარების გათვალისწინებით ვსახავდეთ ბრძოლისა და მშენებლობის სწორ, ლენინურ კურსს. სწორედ ასე იქცეოდა მუდამ ჩვენი პარტია. ლენინიზმით შეიარაღებულმა, მან გადაწყვიტა გიგანტური ისტორიული ამოცანა — შექმნა მსოფლიოში პირველი სოციალისტური საზოგადოება, დასახა კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამა და შეუდგა მის პრაქტიკულ განხორციელებას. კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე ჩვენი კონკრეტული ორიენტირია სკკპ XXIII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი წლების მთელი რიგი პლენუმების გადაწყვეტილებანი.

ჩვენს დროში კომუნისტური მშენებლობა სსრ კავშირში, სოციალიზმის მსოფლიო სისტემისა და მთელი მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარება, სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის იდეოლოგიური ბრძოლა ვითარდება — ყოველივე ეს მუდამ პირველ პლანზე აყენებს ახალ საკითხებს, რომლებიც კომუნისტთა ყურადღებასა და შეფასებას საჭიროებენ. ამ საკითხთაგანია ისიც, რომ საჭიროა კიდევ უკეთ შევიცნოთ და გამოვიყენოთ ჩვენს სახალხო მეურნეობაში სოციალიზმის ეკონომიური კანონები, ის დიდმნიშვნელოვანი საქმეც, რომ ღრმად შევისწავლოთ მომდევ ქვეყნებში სოციალისტური მშენებლობის გამოცდილება, და ის ამოცანაც, რომ ყოველმხრივ ვამხილოთ თანამედროვე რევიზიონიზმის, როგორც მემარცხენე, ისე „მემარცხენე“ რევიზიონიზმის თეორია და პრაქტიკა, და ბევრი სხვა. ყველა ამ მომწიფებული პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა სერიოზული, ღრმა თეორიული მეცნიერული მუშაობა.

ამხანაგებო! ვამაყობთ ჩვენი გიგანტური ჰიდროსადგურებითა და კოსმოსში საბჭოთა ადამიანების შესანიშნავი გამარჯვებებით, ჩვენი სამშობლოს ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისებაში მიღწეული წარმატებებითა და ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებით. მაგრამ არანაკლებ ვამაყობთ იმითაც, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ სამამულო და მსოფლიო კულტურის მწვერვალებს აზიარა არა ასობით, არა ათასობით, არამედ მილიონობით ადამიანი. მსოფლიოში ახლა სამართლიანად უწოდებენ საბჭოთა ხალხს კითხვის უყვარულეს დიდ მოყვარულს. ამას ისინიც კი აღიარებენ, ვისაც არ ახარებს ჩვენი წარმატებანი. შედარებით ცოტა ხნის წინათ კი ქვეყნის მოსახლეობის სამი მეოთხედი წერაკითხვის უცოდინარი იყო!

სოციალიზმის აშენებასთან ერთად საბჭოთა ხალხმა შექმნა ნამდვილად სოციალისტური მრავალეროვნული ხელოვნებაც. ყველა საბჭოთა ადამიანისათვის საერთო კომუნისტურ იდეალებს იგი გამოხატავს ეროვნული ფორმით, ჩვენი სამშობლოს თვითეული ხალხისათვის ყველაზე ახლობელ და გასაგებ ენაზე. ყოველ წელს ახალი წარმატებანი მოაქვს ყველა ჩვენი რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების ოსტატთა მხატვრული შემოქმედების რთულ საქმეში. საბჭოთა ლიტერატურის, ფერწერის, საბჭოთა კინოს, საბჭოთა მუსიკის საუკეთესო ნაწარმოებები გამსჭვალულია დიდი ცხოვრებისეული სიმართლით, ჩვენი ხალხის დიად საქმეთა და მისწრაფებათა ჰეროიკით, ჩვენი საზოგადოებრივი წყობილებისათვის დამახასიათებელი კეთილშობილებითა და ჰუმანიზმით.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური კულტურის განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვს საბჭოთა ბელორუსიის ხალხსაც. ბელორუსიის ხელოვნებისა და ლიტერატურისათვის დამახასიათებელ მამაცურ ჰეროიკას მძლავრი სათავეები აქვს — ბელორუსი ხალხის გმირობა, მისი უსაზღვრო ერთგულება სოციალისტური სამშობლოსადმი, ღრმა პატრიოტიზმი.

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა თაობის წინაშე დგას ამოცანა — იყოს მამების საქმის ღირსეული განმგრძობი, შვილობიანი მშენებლობის პირობებში გამოიმუშაოს ისეთი თვისებები, რომლებსაც უფროსები მწვავე, სასტიკ კლასობრივ ბრძოლაში იძენდნენ, — მამაცობა, ვაჟკაცობა, რევოლუციური იდეალებისადმი უსაზღვრო ერთგულება. ამის მიღწევა, რა თქმა უნდა, ადვილი როდია. გარდა თეორიული მომზადებისა, აქ საჭიროა კიდევ დიდი მუშაობა ხასიათის გამომუშავებისა და თვითაღზრდისათვის. ამაში კი დიდი დახმარება შეუძლიათ გაგვიწიონ და კიდევაც უნდა გაგვიწიონ ჩვენმა ლიტერატურამ, ჩვენმა თეატრმა, კინომ, ფერწერამ, მუსიკამ — ყველა სახეობისა და ფორმის ხელოვნებამ. ხელოვნების როლი ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში და მაშასადამე ხელოვნების მოღვაწეთა პასუხისმგებლობაც საზოგადოების წინაშე განუწყვეტლივ მაღლდება კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის კვალობაზე.

დიდი და საპატიოა საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენციის ინტერნაციონალური მოვალეობაც — ხელოვნების საშუალებებით დაამკვიდროს სოციალიზმის იდეები ყველა ქვეყანაში, შესძინოს სოციალიზმს სულ ახალი და ახალი მოკავშირენი, ყოველნაირად შეუწყოს ხელი კულტურის მთელი მოწინავე ძალების ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტის შექმნასა და განმტკიცებას.

იდეოლოგიური სფეროს ყველა მუშაკის საქმიანობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის წარმატებით მშენებლობისათვის. მაშ, ვუსურვოთ მათ, ამხანაგებო, ახალი დიდი წარმატებანი დიდ და რთულ, ჩვენი საერთო საქმისათვის უაღრესად საჭირო მუშაობაში!

ძვირფასო ამხანაგებო! იწურება 1968 წელი, დგება ახალი წელი. ნება მიბოძეთ ვისარგებლო ამ შემთხვევით და ამ დარბაზში ყველა დამსწრეს, თქვენს ნათესავებს, ახლობლებსა და მეგობრებს, მთელ ბელორუს ხალხს ვუსურვო ბედნიერება, სიხარული და ახალი წარმატებანი მომავალ 1969 წელს.

ორი წლის მიჯნაზე, ბუნებრივია, ფიქრობ იმაზე, თუ როგორ განვვლეთ გასული წელი, როგორია მისი შედეგები, რა გავაკეთეთ ამ წელს და რა უნდა გავაკეთოთ კიდევ.

შეიძლება ქმაყოფილებით ითქვას, რომ გასულ წელს საბჭოთა ადამიანებმა ცუდად როდი იშრომეს. ხუთწლედის დავალებანი ამ წელს ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით, წარმატების, კარგად სრულდება. გადაჭარბებით შესრულდა საგრეწველო წარმოების მოცულობის ზრდის საგეგმო დავალება. სწრაფი ტემპით ვითარდება ჩვენი მრეწველობის წამყვანი დარგები — მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქიმია, ნავთობის მოპოვება, ელექტროენერგიის წარმოება და სხვები.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის დარგშიც. წელს, ამინდის საკმაოდ რთული პირობების მიუხედავად, ჩვენმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოიყვანეს 10 მილიარდ ფუთზე მეტი მარცვალი, აგრეთვე კარგი, შარშანდელზე უფრო უხვია ბამბის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას მოსავალი. გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაც.

სასიამოვნოა აღვნიშნოთ, ამხანაგებო, რომ ქვეყნის ამ წარმატებებში დიდია ბელორუსი ხალხის შრომის წილი. გახარებთ რა ფართო შეჯიბრება რესპუბლიკისა და კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად, ბელორუსმა მშრომელებმა არ გატეხეს სიტყვა — ვადამდე შეასრულეს ხუთწლედის მესამე წლის გეგმის ძირითადი დავალებანი სპრეწველო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მიხედვით. კარგად დაამთავრეს წილი ბელორუსიის სოფლის მშრომელებმაც. მათ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის თავისი პროდუქციის ბევრი მნიშვნელოვანი სახეობის მიყიდვის გეგმა.

კმაყოფილებას მარტო 1968 წლის შედეგები როდი იწვევს. ხუთწლედის პირველი სამი წელიწადი მთლიანად დამთავრდა კარგი მაჩვენებლებით. განვლილი დაძაბული, მიზანმიმართული შრომის სამი წელი. ამ შრომის შედეგებს კარგად ვხედავთ. გადაჭარბებით შესრულდა საერთო მოცულობისა და მეტ წილ სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წლიური გეგმები. სამრეწველო წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი მეთოდები პრაქტიკულად გვიჩვენებენ თავის ეფექტიანობას. ყოველივე მნიშვნელოვანია წარმატებანი სოფლის მეურნეობის აღმავლობის დარგში. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს გულდაჯერებით ვთქვათ, რომ გვაქვს შესაძლებლობანი არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შევასრულოთ მიმდინარე ხუთწლედისათვის XXIII ყრილობის დირექტივებით დამტკიცებული მაჩვენებლები.

ამ მიზნის მიღწევაში დიდი როლი უნდა შეასრულოს მთელ ქვეყანაში გაჩაღებულმა შეჯიბრებამ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, 1970 წლის 7 ნოემბერს ხუთწლედის შესრულებისათვის. ახლა საბჭოთა ქვეყნის მშრომელები ღირსეულად განაგრძობენ სოციალისტური შეჯიბრების, დამკვრელთა და სტახანოველთა მოძრაობის სახელოვან ტრადიციებს, რომლებიც წარმოშვა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ. კომუნისტთა მოვალეობა ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო განვითარებას, კომუნისტებისა და ბრძოლის დამკვრელთა მოძრაობას, ამ მოძრაობის ფორმების გამდიდრებას. რა თქმა უნდა, ხუთწლედის შესრულება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი იქნება მომავალი, 1969 წლის შედეგები. თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ამ თვეში გამართულმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ განიხილეს ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის გეგმა და ბიუჯეტი, განსაზღვრეს კონკრეტული ამოცანები, რომელთა შესრულებას საბჭოთა ადამიანებმა უნდა მოახმარონ ძალღონე მომავალ წელს.

ამასთან დაკავშირებით მსურს შევიტყო ჩვენი ეკონომიური განვითარების ძირითად საკითხს, რომელიც წლითიწლობით სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. საქმე ეხება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვას ჩვენი მეურნეობის ყველა დარგში, მთელი ჩვენი საზოგადოების სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს.

გაიხსენეთ, ამხანაგებო, რას ამბობდა ამის შესახებ ვ. ი. ლენინი. „შრომის ნაყოფიერება, — ბაზგასმით აღნიშნავდა იგი, — ეს, საბოლოო ანგარიშში, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად... კომუნიზმი არის შრომის უმაღლესი, კაპიტალისტურთან შედარებით, ნაყოფიერება ნებაყოფლობით მომუშავე, შეგნებული, გაერთიანებული, მოწინავე ტექნიკის გამომყენებელი მუშებისა“. (თხზ. კრებული, მე-4 გამოცემა, ტ. 29, გვ. 499).

მსოფლიოში ახლა ჩაღდება თავისი მასშტაბითა და ტემპით უმაგალითო მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია. იგი ნამდვილ გადატრიალებას ახდენს ზედიზედ მრეწველობის სხვადასხვა დარგში, სახავს წარმოების მართვის და შრომის ორგანიზაციის სრულყოფის ახალ პერსპექტივებს. ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, კაცობრიობის ისტორიაში უყველაზე მოწინავე საზოგადოების მშენებლებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი არის მშენებლობის ტემპის დაჩქარების ერთ-ერთი მთავარი წყარო, ძირითადი მოკავშირეა პარტიის იმ დიადი გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომელთა მიზანია ბუნების გარდაქმნა.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ სწორედ ამ დარგში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში გადის დღეს ორი სისტემის ისტორიული შეჯიბრების ერთ-ერთი ძირითადი ფრონტი. ამის გამო ჩვენი პარტიისათვის მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი ინტენსიური განვითარება და უკანასკნელი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების წარმოებაში ფართოდ დანერგვა არის არა მარტო ეკონომიური, არამედ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანა. ახლანდელ ეტაპზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხებს, პირდაპირ უნდა ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ამხანაგებო! ჩვენი პარტიის მთელი პოლიტიკური და სამეურნეო საქმიანობის მთავარი მიზანი, მთავარი აზრი არის საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების უზრუნველყოფა. ამისათვის ზრუნვით გამსჭვალულია პარტიის ყრილობის დირექტივებიც ხუთწლიანი გეგმის შესახებ. უკანასკნელ წლებში XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის განხორციელდა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები. ამ მიმართულებით გადიდდა ასიგნებანი მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარებისათვის, ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლებისათვის. მნიშვნელოვნად იზრდება სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება, მოსახლეობის საქონლით წარმოების ზრდის ტემპისა და წარმოების სამუშაოებათა წარმოების ზრდის ტემპის დაახლოების კურსი, რომელიც პარტიამ აიღო, წარმატებით ხორციელდება.

მოსახლეობის რეალური შემოსავალი დიდდება უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე ეს ხუთწლედის დავალებით იყო გათვალისწინებული. პარტია კვლავაც განუხრელად განახორციელებს ჩვენი ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების კურსს, უკვე მომავალ 1969 წელს მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო წლიური ხელფასის ზრდამ უნდა მიაღწიოს დონეს, რომელიც დაგეგმილია ხუთწლედით 1970 წლისათვის. ეს ცუდი როდია, ამხანაგებო.

რა თქმა უნდა, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესების ღონისძიებანი შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმის მეოხებით, რომ ჩვენი ფაბრიკებისა და ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები მუშაობენ სულ უფრო ნაყოფიერად, ეფექტიანად, ზრდიან თავიანთი შრომის ნაყოფიერებას. არ არის და არც შეიძლება იყოს საზოგადოებრივი დოვლათის სხვა წყარო, ვიდრე ადამიანთა შრომაა.

კვალიფიციური, განვითარებული და შეგნებული საბჭოთა ადამიანები, რომლებიც დგანან ჩვენი ქარხნების ჩარხებთან და მართვის პულტებთან, ბრძმედებთან და მარტენებთან, შახტების სანგრევებში, ამწეებისა და ექსკავატორების ბერკეტებთან, სამშენებლო მოედნებზე — აი ვინ მოაქვს უწინარეს ყოვლისა ყველა წარმატება ჩვენი მრეწველობისათვის. სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ოსტატები, კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები, ტრაქტორისტები და კომბაინერები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები და მწველავები — აი ვინ ავითარებს ახლა პარტიის მოწოდებით ჩვენს სოფლის მეურნეობას, ვის მოაქვს მისთვის ახალი აყვავება.

ყველა ჩვენი სამეურნეო გეგმა ქაღალდზე დარჩებოდა, მათ რომ არ ახორციელებდეს 240-მილიონიანი საბჭოთა ხალხი, რომელიც ლენინის პარტიის გარშემოა გაერთიანებული. სწორედ მშრომელი ხალხი, ჩვენი გმირი მუშათა კლასი, ჩვენი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი არიან ყველა ჩვენი მიღწევისა და ყველა ჩვენი წარმატების ნამდვილი შემოქმედნი. და სწორედ მათ მივმართავთ უწინარეს ყოვლისა მადლობის სიტყვებით, მათ ვამკობთ დიდების შარავანდედით!

ძვირფასო ამხანაგებო, ძვირფასო მეგობრებო! ჩემთვის სასიამოვნოა გაცნობოთ, რომ ბელორუსი ხალხის ისტორიულმა გამარჯვებებმა სოციალიზმისათვის, ჩვენი საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, მისმა თვალსაჩინო წარმატებებმა კომუნიზმის მშენებლობაში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მაღალი შეფასება დაიმსახურეს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დააჯილდოვა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით. ნება მიბოძეთ, თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით გადმოგცეთ ეს მაღალი, დამსახურებული და საპატიო ჯილდო.

(სცენაზე ადიან რესპუბლიკის ხელმძღვანელები და შრომის მოწინავენი. მჭუხარე, ხანგრძლივ ოვაციაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ოქტომბრის რევოლუციის ორდენი მიაბინა ბელორუსიის სსრ დროშას).

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით, განაგრძობს ლ. ი. ბრეჟნევი, გულითადად ვულოცავ ბელორუსიის მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს მაღალ და დამსახურებულ ჯილდოს და ვუსურვებ მათ ახალ წარმატებებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში. დაე კლავიც დიდხანს იყოს და აყვავდეს საბჭოთა ხალხების ერთსულოვან ოჯახში ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა!

ამხანაგებო! დღეს მე კიდევ ერთი სასიტყვო დავალება მაქვს. ყველამ კარგად იცით, რომ ომის წლებში გამოჩენილი გმირობისა და მშვიდობიან მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის თქვენი რესპუბლიკის საბელოვანი დედაქალაქი მინსკი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. ცხრა საუკუნის ისტორია აქვს მინსკს. ამ ხნის მანძილზე მან ბევრი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა ბელორუსი ხალხის ცხოვრების მატიანეში. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ისტორიის უკანასკნელი 50 წელი. რევოლუციონერი ქალაქი, მშრომელი ქალაქი, იგი ყოველთვის წინ მოდიოდა, ახალი ცხოვრების გზას უკვალავდა მთელ რესპუბლიკას. მებრძოლი ქალაქი, იგი დანგრეულიც, ალმოდებულიც განაგრძობდა მტრის შემუსვრას. ხალხის ნებისყოფითა და შრომისმოყვარეობით აღდგა ბელორუსიის დედაქალაქი ომის შემდეგ ახალი ცხოვრებისათვის, წარმოგვიდგა განახლებული, უმაგალითოდ დამშვენებული და მამაცურად შრომობს კომუნიზმის სასახელოდ. და ამ შესანიშნავი ქალაქის მიღწევებმა ღირსეული შეფასებაც დაიმსახურეს. ნება მიბოძეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით ქალაქ მინსკის წარმომადგენლებს გადავცე ეს საპატიო ჯილდო. (ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება და ლენინის ორდენი მიაბინა ქალაქ მინსკის დროშას).

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, სულითა და გულით მივულოცო ძვირფას მინსკელებს მაღალი ჯილდო და ვუსურვო ახალი შრომითი გამარჯვებანი და დიდი ბედნიერება.

დაე იზრდებოდეს და მშვენდებოდეს ჩვენი შესანიშნავი მინსკი!

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა ბელორუსია და მისი სახელოვანი კომუნისტური პარტია ძალღონითა და ენერგიით აღსავსენი შეეგებნენ თავიანთ ორმოცდაათ წლისთავს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა დარწმუნებული არიან, რომ მომდევნო წლები აღინიშნება ბელორუსიის მშრომელთა ახალი სასახელო მიღწევებითა და გამარჯვებებით კომუნიზმის მშენებლობაში.

გაუმარჯოს ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას და მის მებრძოლ ავანგარდს — ბელორუსიის კომპარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც მტკიცედ მიგვიძღვის ლენინური გზით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

(ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დროს არა ერთხელ გაისმოდა მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).

## თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

**27-28 დეკემბერს** სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სიმხრეთ და საოლქო კომიტეტების მდივანთა თათბირი, რომელზეც განიხილეს ღონისძიებანი, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი ქიმიზაციის დარგში.

მომხსენებელმა — სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის მინისტრმა ლ. ა. კოსტანდოვმა, თანამომხსენებლებმა — სამშენებლო სამინისტროს ხელმძღვანელებმა, თათბირის სხვა მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დასახული მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებებისა და სხვა ქიმიური პროდუქციის წარმოების სიმძლავრეთა ზრდა შეიძლება მხოლოდ ქიმიური მრეწველობის ძირითადი ტექნიკური ხელახალი აღჭურვის, მშენებლობის ტემპების მკვეთრი დაჩქარების, მშენებლობისათვის მოწყობილობისა და საშენე მასალების დამზადებისა და მიწოდების ზუსტი დაცვის გზით.

თათბირზე აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის დარგში პარტიისა და მთავრობის გად

# ბაქანები

საბჭოთა კავშირის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უწყებანი


საბჭოთა კავშირის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უწყებანი

საბჭოთა კავშირის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უწყებანი

საბჭოთა კავშირის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უწყებანი


## საბჭოთა კავშირის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი

### ბრძანებულება

საბჭოთა კავშირის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი

# ერის მატიანე

## საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების 60 წლისთავის გამო

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა საზოგადოებამ, რომელიც 1907 წელს დაარსდა ცნობილი საზოგადო მოღვაწის, გამოჩენილი ისტორიკოს-არქეოლოგის ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით და უაღრესად აქტიური მონაწილეობით, უდიდესი როლი შეასრულა საქართველოში ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში. საზოგადოებაში მის დამფუძნებელთან ერთად შეიიდნენ მაშინ თვალსაჩინო მეცნიერები თ. ჟორდანია, მ. ჯანაშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. გორგაძე, დ. კარბეჭაშვილი, გ. კიკნაძე, იუსტ. ბასილაძე და სხვ. 1912 წელს საზოგადოების წევრი ხდება და ნაყოფიერ მუშაობას იწყებს ს. კაკაბაძე.

საზოგადოება ატარებდა დიდ მუშაობას ისტორიული ძეგლებისა და საბუთების ძიების, მათი თავმოყრისა და გამოცემის უზრუნველსაყოფად. ასე ჩაეყარა საფუძველი ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების მუზეუმს. ყველაზე არსებითი ამ საზოგადოების მოღვაწეობაში ის იყო, რომ შეიქმნა ბუდიტორია, სადაც იკითხებოდა სამეცნიერო მოხსენებები ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის დარგებში. შეიძლება ითქვას, რომ ივ. ჯავახიშვილის შრომების დიდი ნაწილი სწორედ ამ საზოგადოებაში მოხსენებებად წაკითხული.

საზოგადოება სერიულად სცემდა ისეთ ისტორიულ წყაროებსა და ძეგლებს, როგორიც არის: „ძველი ქართველო“, „საქართველოს სიძველენი“, „ძველი ქართული მწერლობა“, „ქართული ხალხური სიტყვიერება“, 1909-1911 წლებში ორ დიდ წიგნად გამოიცა ექვთ. თაყაიშვილის შრომა „საქართველოს სიძველენი“ (II-III ტომები). ჯერ კიდევ 1906 წელს ექვთ. თაყაიშვილმა გამოსცა დ. ბაქრაძის მიერ აღმოჩენილი „ქართლის ცხოვრების მარიამ დედოფლისეული ვარიანტი“, რაც დიდწილშენეული ვარიანტი“, რაც დიდწილშენეული ვარიანტი“, რაც დიდწილშენ